

# სასაღხო ზაფხუმი

სურათებიანი დამატება

გაზეთის № 77.

კვირა, 8 აგვისტო 1910 წ.

დამატების № 13



უ.ტ.

ლამაზი ქალი. მარმარილო.

ქანდაკება ი. ნიკოლაძისა.

# მ ვ ბ ი ნ ე მ

დრამა სამ მოქმედებად

შირვანზადეხი

(თარგმანი სომხურიდან)

(შემდგები \*)

## მოქმედება მეორე

**ეგვ.** არა, არა, საჭირო არ არის. ოო, ნეტავი არ იქნებოდა ავად ვყოფილიყავ.

**მიპრ.** სთქვი, რა დაგემაართა? შეიძლება შენი ნათესავებისაგან ცული ამბავი გაიგე. იქნება დედა შენია ავად, ან შეიძლება გაჭირვება რამ ადგია. სთქვი, მე შენთვის არაფერს არ დავიშურებ. ევგინე!.. (ეხვევა).

**ეგვ.** (განთავისუფლებს იმის ხვეწნისაგან) დამეხსენ, ნუ მეხვევი!..

**მიპრ.** (უფრო და უფრო გაოცებული კიდევ მიუახლოვდება და გადახვევა. ევგინე ზირდაზირ ძალით მოიშორებს) ხელსა მკრავ? თავიდან მიშორებ?

**ეგვ.** შენ კი არ გიშორებ, მე ჩემს თავს ვაშორებ შენგან!..

**მიპრ.** ეგ ხუმრობაა...

**ეგვ.** ხუმრობა კი არა ტანჯვაა.

**მიპრ.** მერე ვინ იტანჯება? რისთვის?

**ეგვ.** ის, ვინც ღირსია ტანჯვისა და მალე ის, ვინც ღირსი არ არის... (წარმოსთქვამს ურუ ხმით, ძლივ შეიმავრებს ქვეთინს).

**მიპრ.** (შუბლზე ხელს გადასვამს) აი გამოცანა... „ის რომელიც ღირსია, და მალე ის, ვინც ღირსი არ არის“. არაფერი არ გამეგება, არაფერი... მაგრამ... შენ სცდები, შენ ავად ხარ, ჰბოდავ... ევგინე! უული ფიქრები მიტრიალებს თავში, ექვი მებადება... გარკვევით ილაპარაკე!.. (ევგინე განუშებულად) შემდეგ, ეგ წრიდან გადავიდა... (მიუახლოვდება და ხელს დაუჭერს).

**ეგვ.** (უფურებს მიჭრანას) რატომ? რატომ შენ ერთი სხვა კაცი არა ხარ, გაუთლელი, ხებრე, ბოროტი? (ხელს განთავისუფლებს მოშორდება).

**მიპრ.** (გაოცებული სდგას თვალებს დაშტერებს ევგინეს, ზაუზა). აა!..

**ეგვ.** (ზაუზა) რითი უნდა დავაფასო შენი სიკეთე, თუ არა... გულ წრფელობით; დიახ, დიახ, მხოლოდ გულწრფელობით. ეგრე ნუ მიყურებ. შენი სახე მტანჯავს...

**მიპრ.** გეშინიან? ჰო? გეშინიან? (უფურებს).

**ეგვ.** (დადის, მერე უცებ დადგება მიჭრანას წინ) ერთი სიტყვა... (შუბლზე ხელს გადასვამს) იმ საღამოს ამბობდი, „მე რომ არაბაჯიანის ადგილს ვყოფილიყავ, ჩემ ცოლს ვაპატიებდი წარსულსო“...

**მიპრ.** ვამბობდი, მერე?

**ეგვ.** ნუ თუ, რწმენით ამბობდი?

**მიპრ.** ეგ რა საკითხავია? (ზაუზა. ხმის ამაღლებს) ეგ რა საკითხავია... (ზაუზა. ევგინეს ხელს მოჭკიდებს და ანჯდრეკს) რა საკითხავია მეთქი?

**ეგვ.** ოო, რა მძლავრად მიჭერ ხელს, რკინის ღონე გქონია.

**მიპრ.** სთქვი, რათ მეკითხები?..

**ეგვ.** იმიტომ, რომ მე... მე... ერთი საძაგელი ქალი

ვარ, მე... ღირსი არა ვარ... რადგანაც მეც... ქალბატონი არაბაჯიანსებური ვარ...

(ხელს განთავისუფლებს და დონე-მახდილა დაეცემა ტანტზე. ხანგრძლივი სინუმი, მიჭრანა გაქვავებული დგას ერთ ადგილს. ევგინეს კი ორივე ხელით სახე აქვს დაფარული. ბოლოს მიჭრანა თვალებზე ხელს გადასვამს, გაკშეპო იუფრება, მერე თავისთვის ამბობს, თათქას უნდა დრმუნდე! სარმარშია თუ დვიძავს).

**მიპრ.** ეს რა არის?.. სიზმარი?.. თუ ქვავზე შევცდი? მაგრამ არა... გონებაზე ვარ. აი ის, აი ჩვენი... სასტუმრო ოთახი... ნაცნობი აკვირი... დღისით... ჩემი ალერსის შემდეგ... სწორედ აქ, თითონ თავისი პირით... (მიუახლოვდება ევგინეს და ხელს დაუჭერს) უკან წაიღე წელანდელი შენი სიტყვები!.. უკან წაიღე მეთქი!..

**ეგვ.** ძლივს შევძელ თქვა.



დავით კალიაშვილი.

**მიპრ.** (დონიურად დაუჭერს ხელს) მაშ არა ხუმრობ?

**ეგვ.** (ტანჯვით ზიხს არიდებს) ვის შეუძლიან თავის საყვარელ არსებასთან ესეთი ხუმრობა? (ხელს განთავისუფლებს გაეშურება საწოლ ოთახისაკენ).

**მიპრ.** (წინ გადაეღობება) არა, არა, სთქვი, რომ მცდილი, სთქვი, რომ ქკუაზე შეიშალე. სთქვი!.. გვედრები, ხომ ჰხედავ ვიტანჯები... გაღმე, დავიჯერო რომ არა მცდილი? ჩემს უკანასკნელ სიცოცხლის წუთებს შემოგწირავ ოღონდ დაარღვიე, დაარღვიე შენი ნათქვამი...

**ეგვ.** მე ყველაფერი ვსთქვი.

**მიპრ.** მაშ არა გსურს?.. არ გინდა დარღვიო შენი ნათქვამი?.. აი, შე საძაგელო... (უნდა მიჰარდეს, მაგრამ თავს შეიმავრებს) მაცდური, მაცდური უნდა შევიმაგრო! (შემოდიან რიფსიმე და მართა საგარეთ ჩაცმულნი და გაოცებული რჩებიან).

**მიპრ.** (ქვეთინით თავის დას უეღზე ეხვევა) მართა! მართა!..

**ეგვ.** (დედას ეხვევა).

(მართამ, თათქას გაიგო, სინამდვილე, ზიხდით უფურებს ევგინეს. რიფსიმეს კი, არაფერა არ ესმის, გაოცებული უფურებს მიჭრანას).

ფ ა რ დ ა.

\*) იხ. სურათებიანი დამატება № 12.

მ ა მ მ ე დ ე ბ ა მ ე ს ე მ ე

მამქმედება სწამებს მიჭრანას დიდ კაბინეტში. ორი კარგი-სიღრმეში და მარცხნივ: სიღრმის კადის წინა ოთახში, რომლის მეორე მხარეზე დგას საწერი მაგიდა, მარცხენა კარები კადის სასტუმრო ოთახში. მარჯვნივ, ქუჩისკენ ფანჯრებია. შინაურები დაიარებიან მარცხენა კარებიდან. მარცხნივ კედლის ძირში დგას მიჭრანას საწერი მაგიდა, ზედ ტელეფონის აპარატი, სამუდგო, ქაღალდები; საქმეები, სიღრმის კედლის ძირში წიგნების შეკრები, იმასთან ახლო რკინის კასსა. მარცხნივ ტუფ გადკრული ტასტი და სავარძლება, მაგიდა, ზედ ჟურნალები, ერთი კოლოფი ზაპირისით საგსე და სხვა. იატაკი დაფენილია სპანსული ხაღინებით. კედლებზე რამდენიმე კრავიურა და რამდენიმე გამომხეილად აკრისტებისა და ევროპული ონატიონების სურათები ჰქვიადა.

გ ა მ მ ს გ ლ ა I.

ვარსამიანი და გადამწერი

ფარდის აწვეის დროს ვარსამიანი დგას, მიჭრანას საწერ მაგიდასთან ექვს რაღაც ქაღალდს, გადამწერი კი ქაღალდით ხელში, კალამი ურზე, დგას სიღრმის კარების წინ, რამდენიმე წუთს სინუშვა.

ვარ. არ ვიცი სად დაუღვია ის ქალაღი (ქუხნას შეაჩერებს) კარგი; ჯერ ეგ თხოვნა გადასწერეთ, თითონ მოვა და ვკითხავ.

გადამწერი. (მარს მიიბრუნებს გასასვლელად, იმ წუთსავე უკან დაბრუნდება. მუხუ) კანტორაში რამდენიმე მომსვლელი ელოდება.

ვარ. ეხლავე მოვალ.

ვარ. იმათ უნდათ თითონ ბატონი ალვერდიანი ნახონ.

ვარ. მოახსენეთ, რომ ალვერდიანი არავის არ იღებს. (გადამწერი კადის. ვარსამიანი დგას, კანტორასთან, ხელს შუბლზე დაიდებს და ფიქრებს. სიღრმის კარებიდან შემოდის საწაფიანი).

გ ა მ მ ს გ ლ ა II.

ვარსამიანი და სარაფიანი

სარ. (შუბლს ხელდასხვით გადაწმინდავს) აი ესეც გაზაფხულის პირი: ეხლა რომ ასე ცხელა მერე რა იქნება? (საღამოს მისცემს) ჰმ, ისე იმავე გუნებაზეა ჩვენი ბატონი?

ვარ. დიხ, შეუცვლელად.

სარ. საკვირველია, ნეტა რა მოხდა ამ სახლში? არაფერი არ გამეგება. მიჭრანა ხომ ეგრეა, მართაც გაჩუმებულია და ხმას არ იღებს? ევგენე კი თავის საწოლ ოთახიდან არ გამოდის. არა, უნდა მიზეზი გავიგო. (მიდის მარცხენა კარებისკენ).

ვარ. ვგონებ, უბრძანებია არავინ არ მიიღონ.

სარ. ღმერთის მადლმა საოცარი, საოცარი, არაფერი არ გამეგება, აი ვილაღ მოდის. (მარცხენა კარებიდან შემოდის მართა დადონებული).

გ ა მ მ ს გ ლ ა III.

იგინივე და მართა

მარ. (სარაფიანის სიღამზე ციფათ დაჭრის თავს, მიჭმარ-თამს ვარსამიანს) ტფილიღის ვაზეთები ხომ არ მაგიღიათ?

ვარ. (მიუთითებს ტასტის წინ მაგიდაზე). სულ იქ აწყვია (მართა მივა მაგიდასთან, გაზეთებს აიდებს და უნდა გავიღეს მარცხენა კარებით).

სარ. მართა ევგენეს ნახვა შეიძლება?  
მართა. (ცოფად) ჰკითხეთ მოახლეს (კადის).  
სარ. (ვარსამიანს) ნახე? ეჰ!.. არა, როგორც იყოს უნდა შევიტყო ამ კომედიის შინაარსი.  
ვარ. კარგია თუ კომედიია და არა დრამა...  
სარ. რა სთქვი?..  
ვარ. არაფერი... (მარცხენა კარებიდან შემოდის რიფსიმე, ევგენეს დედა: დადონებული და ადუღებული).

გ ა მ მ ს გ ლ ა IV.

იგინივე და რიფსიმე

რიფ. მიჭრანა აქ არ არის? (რა დაინახავს საწაფიანს) არა, კარგი, რომ გნახე. შენი თავი მჭირია.

სარ. მადლობა ღმერთს, მეც ერთს დავჭირდი. მიბრძანეთ მამიდავ!..

რიფ. იცი რა!.. მაგრამ (უეურებს ვარსამიანს, რომელიც ამ დროს საწერ მაგიდასთან დგას რაღაც საჩქაროდ სწერს ერთ საჭერ ქაღალდზე)... გამარჯობა, შეილო...  
ვარ. (თავს უკრავს) მე თქვენ არ დავიშლით. გავათავე. (კალამს სდებს მაგიდაზე, აიდებს დაწერა ქაღალდებს) არა, მიჭრანამ თუ მიკითხოს, უთხარი კანტორაში ვარ (თავს უკრავს რიფსიმეს და კადის სიღრმის კარებით).

რიფ. რა შეგნებული ვაქა! ახ, არა, მე უბედური ვარ. მიშველე! ამ ქალაქში, შენს გარდა, ახლო ნათესავი არა მყავს...  
სარ. რა ამბავია?..  
რიფ. ნურაფერს ნუ მკითხავ! ნურაფერს, მხოლოდ მიშველე...  
სარ. მაგრამ როგორ გიშველო? ვის უშველო? როდესაც არაფერი არ მესმის.

რიფ. საჭიროც არ არის, რომ გაიგო, შეილო, შენ მხოლოდ, ახ... ო!.. დიხ! უთხარი მიჭრანას, უთხარი... რომ... ერთი სიტყვით, შეარიგე ის...  
სარ. ვისთან შევარიგო?  
რიფ. ენისასთან.  
სარ. (გაოცებული) მიჭრანა წაეჩხუბა ევგენეს?.. დედა მიწა გასქდება... ცა იქუქავს.

რიფ. არ უჩხუბნიათ შეილო, არამედ, არამედ... როგორ გითხრა?.. (ცაღკე) ახ, რა ძნელია საიდუმლოების შენახვა... (იმას) იცი რა? უთხარი მიჭრანას, რომ ტყუილია, რომ ენისას... გონება დაჰკარგვია... გცდის... ერთი სიტყვით, დააშოშმინე... (დაიწყებს ტირობას).  
სარ. (ხელს შუბლზე დაიჭრავს) აა, ეხლა გავიგე ერთი სიტყვით სთქვი და გაათავე რაღა... ევგენესთვის ცილა დაუწამებიათ.

სარ. ხმა გაუვრცელებიათ, რომ იმისი წარსული ცხოვრება არაბაჯიანის წარსულსა ჰვავს... და მაგ ხმის გამვრცელებელია ქალბატონი ვალამქარიანი.  
რიფ. რა! შენც გაიგე?  
სარ. დიდი! გავიგე.  
რიფ. მაშ ლაპარაკობენ?  
სარ. ლაპარაკობენ.  
რიფ. (მომხეობული დაუშვავს კუშეტკაზე) ოჯახი დამექვა...  
სარ. (ხელს დაუჭერს) კარგი, გონს მოდი, მამიდა... ქალაქში არ მოიპოვება ერთი მასხარა, რომ დაიჯეროს ეგ ცილის წამება.

რიფ. მაგრამ რა უყო, შეილო? რა უყო? ქალი ხელიდან მეცლება, ბედი წყალში მივარდება...  
სარ. ადექი, მამიდა, ფეხის ხმა მესმის. ყვრილია საჭირო არ არის.

**რიფ.** (წამოდგება) დიახ, დიახ, ყვარილი საკირო არ არის... სჩანს, მართა მოდის... ოო, არ შემძლიან იმის სახის დანახვა. ჩემთან ჩხუბი სწადია. ამ კარებიდან გავალ... (გადის სიღრმის კარებით).

**გ ა მ ო ს ვ ლ ა V.**

მიჭრანა და ხარაფიანი

**მიჭრ.** (საღამური მუხანგი აცვია, ზედ შიჯაკი. საუფლო აქვს, შემოდის საწოლ ოთახიდან და ეტყობა რომ მთელი დამუხანს სძინებია. გამოდის დაფიქრებულა, გერ ამხნევს სარაფიანს, ქადაღებს სინჯავს, მივა წიგნების შკაფთან, იქაც რადსაც ეძებს და მერე მივა საწერ მაგიდასთან. სარაფიანი ზოგჯერ თავს იქნებს).

**არ.** (მაუზა. მივა) რა დიდხანს გძინავს!

**მიჭრ.** (ერკვევა) აა, შენა ხარ?... ასე აღრე?..

**ხარ.** კარგი აღრეა... უკვე პირველი საათია.

**მიჭრ.** (უზაროდ) უკვე საათის პირველია. (დაჯდება საწერ მაგიდასთან, გამოსწევს ერთ-ერთ უჯრას) ეს რა არის? (უჯრიდან ამოდებს რეგულატორს) ეს მიფეშქაშა, ვინ? დიახ, დიახ, იმ თათრის ბეგმა, რომლის ძმაც გავანთავისუფლდრისთვის?... წავიდა ის დრო, როდესაც ხალხი ცხოვრების რთულ საკითხებს იარაღითა სწყვეტდნენ. ეხლა კი... (ზაზადით რეგულატორს მაგიდაზე სდებს და უჯრაში განაგრძობს ძებნას) აიღე, შენთვის მიჩუქებია, დაგვირდება ნააფიცრალი ხარ.

**ხარ.** (არამეგს რეგულატორს და სინჯავს) მშვენიერი რეგულატორია, ამერიკული უკანასკნელი სისტემისა... (ჯიბში ჩაიღებს) მადლობელი ვარ (მაუზა) საქმე გაქვს?..

**მიჭრ.** (ერთაფათ უჯრაში ეძებს) ჩემთან საქმე გაქვს?..

**ხარ.** მინდოდა შენთვის მეთქვა, პატარა ხანს გავგველო სადმე, სასეირნოდ წავსულიყავით. კარგი დარია, თუმცა ცხელია.

**მიჭრ.** მე დღისით სასეირნოდ არა დროს არ წავსულვარ?... (უჯრიდან იღებს ერთ ქადაღს, სინჯავს სათაურს, ადგება, მივა სიღრმის კარებთან) ვინ არის მანდა? (გამოდის გადამწერი) ამ ქადაღს ხვალ გადასწერავთ და წარუდგენთ სასამართლოში.

**გადამწერი.** ჰო, სწორედ ჩვენც მაგას ვეძებდით. (იღებს ქადაღს).

**მიჭრ.** პირველი სათია, კანტორა დაკეტეთ და წადით. (გადამწერი მიდის) საოცარი საბრალო არსებანი არიან ქვე-

ყანაზე: ეგ რეგენი, სანამ ძალით არ ეტყვი თვედ დაინებეთ, საქმეს ხელიდან არ გაუშვებ და არ წავა. ასე ჰგონია, ეგ მონური სამსახური ჩემთვის სასიამოვნოა. (სინჯვის უკან სარაფიანს მიჰმართავს) კიდევ რას იტყვი?..

**ხარ.** არაფერს...

**მიჭრ.** ეგ ცოტაა... მაგრამ შენი სახე მიმტკიცებს რილაკის თქმა გინდა. რას გეუბნეოდა მამიდაშენი?

**ხარ.** (გარცხებული და აშფოთებული) მამიდა ჩემი?..

**მიჭრ.** დიახ, ჩემი სიღელრი... განა ამ ერთი წუთის წინად ის აქ არა ტიროდა, შენს წინაშე? (უუარებს გაშტურებით) ზოგჯერ კაცს კედლის უკანაც ესმის რასაც ამის შესახებ კედლის იქით ლაპარაკობენ. (ფიქრებს) მაგრამ ჩემთვის სულ ერთია, — დაე ილაპარაკონ რაც უნდათ გესმით? სულ ერთია მეთქი... (ხელს გაიქნებს, კიდევ დაჯდება მოუჯდება საწერ მაგიდას. სიღრმის კარებიდან შემოდის სულთანინი და ვახსამიანი).

**გ ა მ ო ს ვ ლ ა VI.**

მიჭრანა, სულთანინი, ხარაფიანი და ვახსამიანი

**მიჭრ.** (რადიანხავს იმათ, ცდილობს რომ თავი ახვეწოს უღარდელად და მხიარულად) აა, ჩვენო ამერიკელო, გამარჯობა. რას ამბობს შენი პრაქტიკული ფილოსოფია?..

**სულ.** ჩემი პრაქტიკული ფილოსოფია მე მეუბნება წარმოგიდგინო ამერიკული ანგარიში და დაკარგული დროსთვის ფასი მოგთხოვო. ეგ რა მოგსვლია; მეგობარო? გენერლის ჩინი მიიღე თუ მინისტრობა? აი მესამედ მოვდივარ, მეუბნებიან: „არ იღებსო“... (დაჯდება საწერ მაგიდასთან. მაუზა) გაიცანი ჩემი შემანქანის საქმე? ოჰ! ეგ რა მოგსვლია? გამხდარხარ და თითქოს მოხუცებულხარ... რა დამგართვია?..

**მიჭრ.** გავიცანი შენი შემანქანის საქმე.

**სულ.** იმედი გაქვს, რომ იმას გაამართლებენ?

**მიჭრ.** (იმას აკ უუარებს. განუსაზღვრელ სიფრცქვში) საბრალო კაცი! (ვახსამიანს და სარაფიანს) წარმოგიდგინეთ ერთი წყნარი და მშრომილი კაცი. იმასა ჰყავს ახალგაზრდა ცოლი — ლამაზი და არა სულელი, ნამუსიანი, მაგრამ სიცოცხლის მოყვარე. (ამხივრებს შემავრებს ცოლ-ქმარი სცხოვრობენ მშვიდადად ბედნიერად (თანდათან დეჯავს. მაუზა) ასე პარეზზე ჩნდება ერთი ვილაც ფრანტი, დიდიხანი უკან დასდევს ლამაზ ქალს. ორი წელიწადი იბრძვის იმის აღერსის წინააღმდეგ, ბოლოს (თავს იმაგრებს)... სცდება... ეჰ... გონებას ჰკარგავს...  
უ. კ—ნი.

(შემდეგი იქნება)



— კნიაზო, წელს კარგი პირი უჩანს შენს მოსავალს...  
— ეხლა? როცა სხვამ ჩადგა ფეხი?  
— როგორ, შენცა?...  
— დიახ, გავყიდე და კიდევ გაფლანგვი..